აკრონიმები რომლებიც გამოიყენება ცერემონიების სახელმძღვანელოში

CdM	Chef de Mission (მთავარი შეხვედრა)
CLOCER	Closing Ceremony (დახურვის ცერემონია)
EOC	European Olympic Committee (ევროპის ოლიმპირი კომიტეტი)
FLOCER	Flower Ceremony (ყვავილების ცერემონია)
IOC	International Olympic Committee (საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი)
MC	Master of Ceremony (წამყვანი ცერემონიის)
NOC	National Olympic Committee (ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი)
OC	Organising Committee (საორგანიზაციო კომიტეტი)
OLV	Olympic Village (ოლიმპიური სოფელი)
OPCER	Opening Ceremony (გახსნის ცერემონია)
VIC	Victory Ceremony (დაჯილდოვების ცერემონია)

1. **EYOF გახსნის ცერემონია**

   მთავარი მიზანი გახსნის ცერემონიის ის არის რომ ათლეტებმა და მონაწილეებმა შეიგრძნონ როგორც ოლიმპიური ასევე მასპინძელი ქვეყნის ტრადიციები.

   გახსნის ცერემონია უნდა ჩატარდეს კვირას (ოფიციალური ჩამოსვლის მეორე დღეს). ისეთი ადგილი უნდა შეირჩეს რომელიც დააკმაყოფილებს EOC-ის მოთხოვნას - სტადიონის ტევადობა, აღჭურვილობა, საშუალებები, ლოჯისტიკა, ა.შ.

   აუცილებლად მოსაწვევი წარმომადგენლები გახსნის ცერემონიაზე:
   - სათითაო ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დელეგაცია
   - ოლიმპიური ოჯახის წევრები
   - გამორჩეული საერთაშორისო და ადგილობრივი სტუმრები
   - მედია წარმომადგენლები.

   ცერემონია უნდა შედგეს სავალდებული ელემენტების და პროტოკოლის მიხედვით:
   - ეროვნული ჰიმნის შესრულება
   - ეროვნული დროშის აღმართვა
   - მონაწილეების აღლუმი
   - ოფიციალური სიტყვით გამოსვლები
   - EYOF-ის ოფიციალურად გახსნილად გამოცხადება
   - ოლიმპიური ჰიმნი
   - ოლიმპიური დროშის აღმართვა

- ოლიმპიური ცეცხლის დანთება
- ფიცის დადება
- კულტურული პროგრამა (ქართული კულტურა)

გახსნის ცერემონია უნდა იყოს ორგანიზებული EOC-ის პროტოკოლის და სახელმძღვანელოს მიხედვით.

გახსნის ცერემონია არ უნდა გადაცდეს 90 წუტს.

გახსნის ცერემონიის პირველადი სქემა უნდა გადაეცეს EOCს დასამტკიცებლად არაუგვიანეს 6 თვით ადრე გახსნამდე. საბოლოო სქემა მზად უნდა იყოს ერთი თვით ადრე გახსნამდე.

ამონაწერი დაპატიჟებული სტუმრების უნდა გავუგზავნოთ EOCს დასამტკიცებლად.

1.1 გახსნის ცერემონიის სტრუკტურა

მთავარი სცენა	კულისებსმიღმა	მითითება
	ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ვახშამი ოლიმპიურ სოფელში	ვახშამი უნდა იყოს ორგანიზებული ანბანის მიხედვით- სასურველია რომ ერთდროულად ყველა არ იკვებებოდეს.
სტადიონი ღიაა საზოგადოებისთვის	ანბანის მიხედვით ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ოლიმპიურ სოფლიდან გახსნის ცერემონიამდე ავტობუსებით ტრანსპორტირება	ტრანსპორტი უნდა იყოს გათვალისწინებული ათლეტებისთვის რომლებსაც უფრო დიდხანს მოუწევთ ვარჯიში
გასახურებელი მუსიკა / მაყურებელის გართობა	ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების შეკრებვა გამოყოფილ ზონაში და ანბანის მიხედვით მათი ორგანიზება აღლუმისათვის	პირველი არის საბერძნეთი და მათ მოყვება დანარჩენი დელეგაციები ანბანის მიხედვით. მასპინძელი ქვეყანა ბოლო უნდა იყოს აღლუმში
	მთავარი შესასვლელის გაღება VIP სტუმრებისათვის	
	VIP სტუმრების ტრანსპორტი სასტუმროებიდან გახსნის ცერემონიამდე	
	სტუმრების მიღება / სტუმართმოყვარეობა	
	VIP სტუმრები დასხდებიან თავიანთ მინიჭებულ ადგილას	
გახსნა		

მისალმება ცერემონიის წამყვანისგან		
ეროვნული ჰიმნი და ეროვნული დროშის აღმართვა		
ათლეტების აღლუმი	აღლუმის დასრულებისას სათითაო დელაგაცია უნდა იყოს აცილებული მოხალისეებისგან გამოყოფილ სეკტორებში. საკმარისი მოხალისეები უნდა იყოს გამოყოფილი ამ დავალებისთვის. სეკტორები წინასწარ უნდა იყოს გამოყოფილი და მონიშნული.	მუსიკა. წამყვანები აკომენტარებენ აღლუმის დროს (სათითაო ქვეყნის მცირე ინფორმაცია, ქვეყნის საცელწოდება, გვაცნობებს მედროშის სახელს). დელეგაციაში პირველი არის მოხალისე რომელსაც უჭირავს ქვეყნის სახელწოდება, მოყვება მედროშე (იმავე ქვეყნის ათლეტი) კონკრეტულ არჩეულ რითმში უნდა ჩაჯდეს აღლუმი
დროშები უნდა მოთავსდეს ნახევარწრეში მთავარ სცენასტან		მედროშე და მოხალისე დატოვებენ თავიანთ დელეგაციას და მიემართებიან ამ ნახევარწრესთან სადაც სათითაოდ მოათავსებენ თავიანთ დროშას. მოთავსების შემდეგ მოხალისეს მიყავს მედროშე აუდიტორიაში სადაც შეუერთდება თავის დელეგაციას.
საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტის სიტყვა	ყველა სიტყვით გამომსვლელი იქნება მიცილებული VIP ლოჟიდან მთავარ სცენამდე	ყველა სიტყვა ინგლისურ ან ქართულად. (თარგმანით ეკრანზე)
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის სიტყვა		თუ ესწრება ფესტივალს + შეთანხმებით
ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის სიტყვა		
ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის გახსნილად გამოცხადება	სიტყვით გამომსვლელები უბრუნდებიან თავიანთ ადგილებს VIP ლოჟაში	სასურველია რომ ყველაზე მაღალი რანგის ეროვნული პოლიტიკოსი რომელიც ესწრება გახსნის ცერემონიას გამოაცხადოს ფესტივალი გახსნილად

ოლიმპიური დროშის შემოსვლა სტადიონზე და მისი სვლა		დროშა მოაქვს 6 პიროვნებას/ათლეტს. შესაბამისი სადღესასწაულო მუსიკა
ოლიმპიური ჰიმნი და ოლიმპიური დროშის აღმართვა		
მასპინძელი ქვეყნის ათლეტის ფიცი		ერთ ხელს დაადებენ პატარა საერთაშორის ოლიმპიური კომიტეტის დროშას და დადებენ ფიცს
მასპინძელი ქვეყნის მსაჯის ფიცი		ერთ ხელს დაადებენ პატარა საერთაშორის ოლიმპიური კომიტეტის დროშას და დადებენ ფიცს
მასპინძელი ქვეყნის მწვრთნელის ფიცი		ერთ ხელს დაადებენ პატარა საერთაშორის ოლიმპიური კომიტეტის დროშას და დადებენ ფიცს
პატარა ვიდეო კლიპი ოლიმპიური ცეცხლის (საბერძნეთიდან საქართველოში და ჩირაღდნის სვლა)		ეს არ არის აუცილებელი
ოლიმპიური ცეცხლის შემოსვლა სტადიონზე, ჩირაღდნის გადაცემა და ცეცხლის დანთება	ავტობუსები მზად უნდა იყვნენ ადრე წამსვლელი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტებისათვის	
კულტურული ნაწილი		
გახსნის ცერემონიის დასრულება		
ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები დატოვებენ სტადიონს	ავტობუსები ელოდებიან რომ წაიყვანონ ოლიმპიურ სოფელში	ვახშამი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტებისათვის (სენდვიჩები ავტობუსში ან ოლიმპიურ სოფელში)
საზოგადოება დატოვებს სტადიონს		
	VIP სტუმრების გამგზავრება გალა ვახშამზე	შესაძლოა გალა ვახშამი გაიმართოს სტადიონზე თუ არის ამის საშუალება და ადგილი

შემჩნევები

- გახნის ცერემონიის დღეს ადრე დაგეგმილი ვახშამი უნდა იყოს ზუსტად გათვლილი დროის განრიგით და ლოჯისტიკით

- ზოგადი ინფორმაცია უნდა იყოს უზრუნველყოფილი მთავარი შეხვედრის სახელმძღვანელოში
- დეტალური პრეზენტაცია უნდა გაკეთდეს გახსნის ცერემონიის განრიგზე და ლოჯისტიკაზე მთავარ შეხვედრაზე.
- სათითაო ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დელეგაციამ უნდა გვაცნობოს თავიანთი არჩეული მედროოშეები.
- საორგანიზაციო კომიტეტმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება თუ სად მოთავსდება ოლიმპიური ჩირაღდანი ფესტივალის დროს.
- თუ არის შესაძლებელი ადრე უნდა მივიღოდ ოფიციალური გამომსვლელების სიტყვები რომ მოესწროს გადათარგმნა.
- ეროვნული ოლიმპირუი კომიტეტის დელეგაციების დასაჯოდმი ადგილები ყურადღებით უნდა დაიგეგმოს. ზუსტი რაოდენობები სათითაო დელეგაციის უნდა იყოს წინასწარ დაკვეთილი შესაბამის სეკტორში. დატრეინინგებული მოხალისეები უნდა იყვნენ მსად რომ ეს დელეგაციები მიაცილონ/მიუთითონ თავიანთ გამოყოფილ ადგილას.
- რამოდენიმე შესასვლელი უნდა იყოს გამოყოპილი რომ სტუმრებმა იმოძრავონ სტადიონიდან დასაჯდომ ადგილებამდე.
- ხშირად არის ისე რომ აღლუმი არის ყველაზე დიდი გამოწვევა. ყურადღებით უნდა დაიგეგმოს. უნდა ჩაჯდეს რითმში და დელეგაციების სვლა უნდა იყოს დაუბრკოლებელი.
- საორგანიზაციო კომიტეტმა უნდა გადაყვიტოს როგორ მოხდება სტადიონზე დაშვება გახსნის ცერემონიის დროს (მხოლოდ აკრედიტაციით, ბილეთით, მოსაწვევით, ა.შ.)
- ადგილები VIP სტუმრების კონკრეტულად უნდა იყოს დაგეგმილი კოკომ-ის საბჭოსთან ერთად.
    - სტადიონის სქემა- სწორი ტრიბუნები უნდა აირჩეს (მთავარი)
    - ჯგუფებოს გაყოფა და მაგათი ლოკაცია ტრიბუნებზე
    - დეტალური ადგილების გეგმა TOP VIP-ებისათვის
- VIP-ების და საპატიო სტუმრების ადგილები უნდა იყოს სწორად აღნიშნული. TOP VIP-ების ადგილები უნდა იყოს მათი სახელებით აღნიშნული. დატრეინინგებული მოხალისეები უნდა იყვნენ მსად რომ სტუმრებს მიუთითონ მათ ადგილზე.
- გახსნის ცერემონიის სტადიონზე დაშვებულია მხოლოდ ფესტივალის პარტნიორების და შესაბამის სპონსორების რეკლამები.

1.2 დროშები

ამ თანმიმდევრობით უნდა მოთავსდეს სტადიონზე დროშები:

1. მასპინძელი ქვეყნის დროშა
2. EOC-ის დროშა
3. IOC-ის დროშა

სხვა დროშებიც შეიძლება მოთავსდეს ადგილობრივი პროტოკოლის მიხედვით:

- საორგანიზაციო კომიტეტის დროშა

- დროშები რეგიონის / ქალაქ თბილისის
- ევრო კავშირის დროშა

ეროვნული დროშები უნდა მოთავსდეს სტადიონზე ანბანის მიხედვით (ამ შემთხვევაში საბერძნეთი არ არის პირველი). ყველა საშეჯიბრო არენაზე უნდა მოთავსდეს მხოლოდ იმ ქვეყნების დროშები ვინც იმ კონკრეტულ არენაზე იასპარეზებს. ტრადიციულად ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების დროშები მზადდება სხვა და სხვა ფორმებში და ზომებში. მაგრამ პროტოკოლის მიხედვით ყველა დროშა უნდა იყოს ერთი ზომის, რომ არ დაირღვეს გუნდების შორის თანასწორობა. (2მ სიმაღლე x 3მ სიგრძე; 1.5მ x 2.25მ)

გახსნის ცერემონიაზე მხოლოდ მასპინძელი ქვეყნის და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დროშები იქნებიან აღმართული შესაბამისი ჰიმნებით. ევროპის ოლიმპიური კომიტეტის დროშა წინასწარ იქნება აღმართული.

პატარა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დროშა უნდა იყოს ამორჩეულ მოხალისეს განკარგულებაში რომ იქნეს გამოყენებული ფიცის დადების დროს.

მთავარი ტრიბუნიდან დროშის ლურჯი რგოლი უნდა ჩანდეს მარცხენა კუთხეში.

EOC-ი უზრუნველყოფს:

- 49 ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დროშებს გახსნის ცერემონიისათვის (1.5მ x 2.25მ)
- 49 ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დროშებს აღლუმისათვის (1მ x 1.5მ)
- EOC-ის დროშებს სხვა და სხვა ზომებში
- IOC-ის დროშა გახსნის ცერემონიისათვის
- IOC-ის დროშა ფიცის დადების დროს
- საშეჯიბრო არენებისათვის შესაბამის ევროპის ფედერაციის + საერთაშორისო ფედერაციის დროშებს

EOC-ი არ უზრუნველყოფს დროშების ჩამოსაცმელ ჯოხებს

მთავარი შეხვედრა რომ გაიმართება სათითაო დელეგაციამ უნდა დაადასტუროს თავიანთი დროშა.

აღლუმის დროს განლაგება: მოხალისეს ქვეყნის სახელით მოყვება მედროშე დელეგაციით. საბერძნეთია პიველი აღლუმში და მას მოყვება მონაწილე ქვეყნები ანბანის მიხედვით (ინგლისური ან ქართული). ბოლო დელეგაცია არის საქართველო.

1.3 ჰიმნები

გახსნის ცერემონიაზე უნდა გაჟღერდეს მხოლოდ საქართველოს და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ჰიმნები.

49ვე ქვეყნის და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ჰიმნები უზრუნველყოფილია ევროპის ოლიმპიური კომიტეტისგან.

მთავარ შეხვედრაზე სათითაო დელეგაციამ უნდა შეამოწმოს თავიანთი ჰიმნი

1.4 ფიცის დადება

გახსნის ცერემონიის დროს მასპინძელი ქვეყნის ათლეტი, მსაჯი და მწვრთნელი დაიკავებენ ადგილს მთავარ სცენაზე: მარცხენა ხელით დაიჭერენ IOC-ის დროშას. მარჯვენა ხელს აწევენ ჰაერში და დადებენ დაწერილ ფიცს ინგლისურად.

ათლეტის ფიცი: ყველა ათლეტის სახელით მე ფიცს ვდებ რომ ჩვენ მივიღებთ მონაწილეობას ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე პატივისცემით და წესების ფარგლებში როგორც შეეფერბა ოლიმპიურ ტრადიციებს. სპორტის დედებისათვის და გუნდების პატივისათვის.

მსაჯის ფიცი: ყველა მსაჯის და ოფიციალის სახელით მე ფიცს ვდებ რომ თანაბრად ვიმსაჯებთ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესთივალზე პატივისცემით და წესების ფარგლებში როგორც შეეფერბა ოლიმპიურ ტრადიციებს.

მწვრთნელის ფიცი: ყველა მწვრთნელის და ხელმძღვანელის სახელით მე ფიცს ვდებ რომ მივიღებთ მონაწილეობას ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე პატივისცემით და წესების ფარგლებში როგორც შეეფერბა ოლიმპიურ ტრადიციებს.

1.5 ოლიმპიური ცეცხლის დანთების ცერემონია ათენში

ოლიმპიურ ჩირაღდანს რაც შეეხება საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებაა ტრადიციის მიხედვით იმოქმედებს თუ არა. რეკომენდირებულია ევროპის ოლიმპიური კომიტეტისგან. ჩირაღდნის დანთების ცერემონია გაიმართება ათენში. მარტივად მაგრამ ტრადიციულად სათავეში უდგას საბერძნეთის ოლიმპიური კომიტეტი, ოლიმპიური ცეცხლი დაინთება მზის სხვივებისაგან პანათენაიკის სტადიონზე.

შეთანხმება უნდა მოხდეს პირდაპირ საორგანიზაციო კომიტეტის და საბერძნეთის ოლიმპიური კომიტეტის შორის. საბერძნეთის ოლიმპიური კომიტეტი უზრუნველყოფს ინტერნეთში პირდაპირ ჩართვას. EOC-მა წინასწარ უნდა იცოდეს ამ ცერემონიის ზუსტი ტარიღი.

1.6 ჩირაღდანი

აუცილებელი არ არის რომ მოხდეს ჩირაღდნის გადაცემები / სვლა მასპინძელ ქვეყანაში. ესეც საორგანიზაციო კომიტეტის გადასაწყვეტია. რა ტქმა უნდა რეკომენდირებული იმიტომ რომ ძალიან დიდი პრომოაქციაა. EOC-ი უნდა იყოს ინფორმირებული რას გადაწვეტს საორგანიზაციო კომიტეტი.

1.7 კოკომის შესამოწმებელი

- სტადიონის სქემა და ლოჯისტიკა
- სცენის წარმოება და ბრენდირები; ზოგადი ბრენდირება ინფრასტრუკტურაზე
- პროგრამა გახსნის ცერემონიის
- სცენარი
- დამწერლობა
- ვიდეო მასალა (თუ გავუშვებთ გახსნის ცერემონიის დროს)
- ჩირაღდნის დიზაინი თავისი დასადგამით

- მოწვეული სტუმრების სია
- დასაჯოდმი ადგილების სქემა

2. EYOF დახურვის ცერემონია

დახურვის ცერემონია უნდა წარმოადგენდეს მეგობრობას, სამართლიანობას და სიხარულს. სხვანაირად რომ ვთქვათ, დასამშვიდობებელი ზეიმი უნდა იყოს შესაბამისი ატმოსფეროთი. დახურვის ცერემონია უნდა გაიმართოს შაბათს, საშეჯიბროს ბოლო დღეს.

ისეთი ადგილი უნდა აირჩეს სადაც ლოჯისტიკა, ტევადობა და ინვენტარი ხელს შეუწყობს დახურვის ცერემონიას, EOC-თან შეთანხმებით. დახურვის ცერემონია შესაძლოა იყოს ოლიმპიურ სოფელშიც.

ყველა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დელეგაცია, ოლიმპიური ოჯახის წევრები, გამორჩეული საერთაშორისო და ადგილობრივი სტუმრები და მედია წარმომადგენლები უნდა იყვნენ დაპატიჯებულნი.

ცერემონია უნდა შედგეს სავალდებული ელემენტების და პროტოკოლის მიხედვით:

- საქართველოს ეროვნული ჰიმნი
- მედროშეების აღლუმი
- ოფიციალური სიტყვით გამოსვლა
- ოფიციალური EYOF-ის დახურულად გამოცხადება
- ოლიმპიური ჰიმნი და ოლიმპიური დროშის ჩამოხსნა
- ოლიმპიური ცეცხლის ჩაქრობა
- შემდეგ მასპნძელი ქვეყანას გადაეცემა EOC-ის დროშა

გახსნის ცერემონია უნდა იყოს ორგანიზებული EOC-ის პროტოკოლის და სახელმძღვანელოს მიხედვით.

დახურვის ცერემონია არ უნდა გადაცდეს 30 წუტს.

დახურვის ცერემონიის შემდეგ უნდა დაიწყოს გაცილების ღონისძიება. პროგრამა უნდა იყოს ახალგაზრდებისთვის გათვლილი.

დახურვის ცერემონიის და გასაცილებელი ღონისძიების პირველადი სქემა უნდა გადაეცეს EOCს დასამტკიცებლად არაუგვიანეს 3 თვით ადრე EYOFდე.

ამონაწერი დაპატიჟებული სტუმრების უნდა გავუგზავნოთ EOCს დასამტკიცებლად.

2.1 დახურვის ცერემონიის სტრუქტურა

მთავარი სცენა	კულისებისმიღმა	მითითება
	ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ვახშამი ოლიმპიურ სოფელში	ვახშამი უნდა იყოს ორგანიზებული ანბანის მიხედვით- სასურველია რომ ერთდროულად ყველა არ იკვებებოდეს.
	ტრანსპორტი უნდა იყოს გამოყოფილი მედროშეებისათის რომ ისინი მივიდნენ დახურვის ცერემონიის ადგილას. რეპეტიცია არის საჭირო.	
სტადიონი ღიაა საზოგადოებისთვის	ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ოლიმპიურ სოფლიდან დახურვის ცერემონიამდე ავტობუსებით ტრანსპორტირება	ტრანსპორტი უნდა იყოს გათვალისწინებული ათლეტებისთვის რომლებსაც უფრო დიდხანს მოუწევთ შეჯიბრზე გამოსვლა
გასახურებელი მუსიკა / მაყურებელის გართობა	მედროშეების შეკრებვა გამოყოფილ ზონაში და მათი ორგანიზება აღლუმისათვის	პირველი არის საბერძნეთი და მათ მოყვება დანარჩენი დელეგაციები ანბანის მიხედვით. მასპინძელი ქვეყანა ბოლო უნდა იყოს დროშების აღლუმში
	VIP სტუმრების ტრანსპორტი სასტუმროებიდან დახურვის ცერემონიამდე	
	მთავარი შესასვლელის გაღება VIP სტუმრებისათვის	
	სტუმრების მიღება / სტუმართმოყვარეობა	თუ შესაძლებელია დახურვის ცერემონიის ადგილას
	VIP სტუმრები დასხდებიან თავიანთ მინიჭებულ ადგილას	
დახურვა		
მისალმება ცერემონიის წამყვანისგან		
საქართველოს ეროვნული ჰიმნი		
მედროშეების აღლუმი		მუსიკა. წამყვანები აკომენტარებენ აღლუმის დროს (სათითაო ქვეყნის მცირე ინფორმაცია, ქვეყნის

		სახელწოდება, გვაცნობებს მედროშის სახელს). დელეგაციაში პირველი არის მოხალისე რომელსაც უჭირავს ქვეყნის სახელწოდება, მოყვება მედროშე. აღლუმი რომ დასრულდება მოხალისეს მიყავს მედროშე აუდიტორიაში სადაც შეუერთდება თავის დელეგაციას.
სურათები და ვიდეო მიმოხილვა გავიდეს ეკრანზე (არ არის აუცილებელი)		
საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის სიტყვა	ყველა სიტყვით გამომსვლელი იქნება მიცილებული VIP ლოჟიდან მთავარ სცენამდე	ყველა სიტყვა ინგლისურ ან ქართულად. (თარგმანით ეკრანზე)
EOC-ის პრეზიდენტის სიტყვა (ფესტივალის ოფიციალური დახურვა)		ყველა სიტყვა ინგლისურ ან ქართულად. (თარგმანით ეკრანზე)
IOC-ის და EOC-ის დროშების ჩამოხსნა ოლიმპიური ჰიმნის გაღერების დროს		EOC-ის დროშის დაიკეცვა
ოლიმპიური დროშა სტოვებს სტადიონს		
EOC-ის დროშა უნდა გადაეცეს მომდევნო მასპინძელ ქვეყანას		პატარა EOC-ის დროშა ჯოხზე
მომდევნო მასპინძელი ქვეყნის დროშის აღმართვა და ჰიმნის გაჟღერება		
მოკლე სიტყვა მომდევნო მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენლის		
ვიდეო რგოლი მომდევნო მასპინძელი ქვეყნის გასაცნობად	სიტყვით გამომსვლელები უბრუნდებიან თავიანთ ადგილებს VIP ლოჟაში	
ოლიმპიური ცეცხლის ჩაქრობა		
დახურვის ცერემონიის დასრულება	ავტობუსები მზად უნდა იყვნენ ადრე წამსვლელი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტებისათვის	

საზოგადოება დატოვებს სტადიონს	VIP სტუმრების და სტუმრების გამგზავრება დასამშვიდობებელ ვახშამზე	შესაძლოა დასამშვიდობებელი ვახშამი გაიმართოს სტადიონზე თუ არის ამის საშუალება და ადგილი
დასამშვიდობებელი ღონისძიება ათლეტებისთვის (კონცერტი, DJ, დისკოტეკა)		სასმელები ათლეტებისთვის
ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები დატოვებენ სტადიონს	ავტობუსები ელოდებიან რომ წაიყვანონ ოლიმპიურ სოფელში	ვახშამი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტებისათვის (სენდვიჩები ავტობუსში ან ოლიმპიურ სოფელში)

შემჩნევები

- დახურვის ცერემონიის დღეს ადრე დაგეგმილი ვახშამი უნდა იყოს ზუსტად გათვლილი დროის განრიგით და ლოჯისტიკით
- ზოგადი ინფორმაცია უნდა იყოს უზრუნველყოფილი მთავარი შეხვედრის სახელმძღვანელოში
- მთავარ შეხვედრაზე სათითაო ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დელეგაციამ უნდა გვაცნობოს თავიანთი არჩეული მედროოშეები
- თუ არის შესაძლებელი ადრე უნდა მივიღოდ ოფიციალური გამომსვლელების სიტყვები რომ მოესწროს გადათარგმნა.
- ეროვნული ოლიმპირუი კომიტეტის დელეგაციების დასაჯოდმი ადგილები ყურადღებით უნდა დაიგეგმოს. ზუსტი რაოდენობები სათითაო დელეგაციის უნდა იყოს წინასწარ დაკვეთილი შესაბამის სეკტორში. დატრეინინგებული მოხალისეები უნდა იყვნენ მსად რომ ეს დელეგაციები მიაცილონ/მიუთითონ თავიანთ გამოყოფილ ადგილას.
- საორგანიზაციო კომიტეტმა უნდა გადაყვიტოს როგორ მოხდება სტადიონზე დაშვება დახურვის ცერემონიის დროს (მხოლოდ აკრედიტაციით, ბილეთით, მოსაწვევით, ა.შ.)
- ადგილები VIP სტუმრების კონკრეტულად უნდა იყოს დაგეგმილი კოკომ-ის საბჭოსთან ერთად.
    - სტადიონის სქემა- სწორი ტრიბუნები უნდა აირჩეს (მთავარი)
    - ჯგუფებოს გაყოფა და მაგათი ლოკაცია ტრიბუნებზე
    - დეტალური ადგილების გეგმა TOP VIP-ებისათვის
- VIP-ების და საპატიო სტუმრების ადგილები უნდა იყოს სწორად აღნიშნული. TOP VIP-ების ადგილები უნდა იყოს მათი სახელებით აღნიშნული. დატრეინინგებული მოხალისეები უნდა იყვნენ მსად რომ სტუმრებს მიუთითონ მათ ადგილზე.
- დახურვის ცერემონიის სტადიონზე დაშვებულია მხოლოდ ფესტივალის პარტნიორების და შესაბამის სპონსორების რეკლამები.

2.2 დროშები

ამ თანმიმდევრობით უნდა მოთავსდეს სტადიონზე დროშები:

1. მასპინძელი ქვეყნის დროშა
2. EOC-ის დროშა
3. IOC-ის დროშა
4. მომდევნო მასპინძელი ქვეყნის დროშა (აღმართვა მოხდება დახურვის ცერემონიის ბოლოს)

სხვა დროშებიც შეიძლება მოთავსდეს ადგილობრივი პროტოკოლის მიხედვით:

- საორგანიზაციო კომიტეტის დროშა
- დროშები რეგიონის / ქალაქ თბილისის
- ევრო კავშირის დროშა

აღლუმის დროს განლაგება: მოხალისეს ქვეყნის სახელით მოყვება მედროშე დელეგაციით. საბერძნეთია პიველი აღლუმში და მას მოყვება მონაწილე ქვეყნები ანბანის მიხედვით (ინგლისური ან ქართული). ბოლო დელეგაცია არის საქართველო.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ჰიმნის გაჟღერების დროს ერთდროულად ჩამოიხსნება IOC-ის და EOC-ის დროშები.

2.3 EOC-ის დროშის გადაცემა

პატარა დროშა რომელიც იქნა დაკეცილი გადაეცემა მომდევნო მასპინძელ ქვეყანას.

EOC-ის პრეზიდენტი, საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი და მომდევნო მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელი (ეს იქნება ქალაქის მერი, პრეზიდენტი, ა.შ) იქნებიან მიწვეული მთავარ სცენაზე. რა თქმა უნდა EOC-ის პრეზიდენტი და საორგანიზაციოს პრეზიდენტი უკვე სცენაზე არიან იმიტომ რომ ისინი სიტვით გამოვიდნენ; მათ დაემატებათ მომდევნო მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელი. მოხალისე მოიტანს დროშას და გადასცემს საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტს რომელიც გადასცემს EOC-ის პრეზიდენტს. EOC-ის პრეზიდენტი გადაცემს მომდევნო მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელს.

გაჟღერდება მომდევნო მასპინძელი ქვეყნის ჰიმნი. მომდევნო მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელი გამოვა სიტყვით. სიტყვის შემდეგ ვიდეო ეკრანებზე გაიშვება პატარა კლიპი ამ ქვეყანაზე.

2.4 ჰიმნები

დახურვის ცერემონიაზე გაჟღერდება საქართველოს ჰიმნი, მომდევნო მასპინძელი ქვეყნის ჰიმნი (უნგრეთი), IOC-ის ჰიმნი.

2.5 კოკომის შესამოწმებელი

- სტადიონის სქემა და ლოჯისტიკა
- სცენის წარმოება და ბრენდირები; ზოგადი ბრენდირება ინფრასტრუკტურაზე

- პროგრამა დახურვის ცერემონიის
- სცენარი
- დამწერლობა
- ვიდეო მასალა (თუ გავუშვებთ დახურვის ცერემონიის დროს)
- მომდევნო მასპინძელი ქვეყნის ვიდეო მასალა
- მოწვეული სტუმრების სია
- დასაჯოდმი ადგილების სქემა